სააქციო საზოგადოება
„არქეოპოლისი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ქ. სენაკი
2023 წელი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 6

17.09 2024 წ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს **სს „არქეოპოლისის“** (შემდგომში „საწარმო”) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,მსს ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწრმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 17 სექტემბერს.

პატივისცემით

დირექტორი
ნ. ჩვამანია

17.09 2024 წ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს **სს „არქეოპოლისის"** (შემდგომში „საწარმო") ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწრმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 17 სექტემბერს.

პატივისცემით

დირექტორი
ნ. ჩვამანია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „არქეოპოლისის“ აქციონერს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „არქეოპოლისის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „არქეოპოლისის“ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 4,021,490 ლარის ღირებულების მარაგი. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „არქეოპოლისის“ მარაგების საბალანსო ღირებულების შესახებ, რადგან აუდიტორებად გვიან დანიშვნის გამო ვერ დავესწარით მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს. ალტერნატიული გზით აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად არ ჩაგვიტარებია მარაგის შერჩევითი ინვენტარიზაცია, რადგან აღრიცხული მარაგის 56 პროცენტს წარმოადგენდა ქვიშა-ხრეშიდან წარმოებული სხვადასხვა ფრაქციის მზა პროდუქცია, რომლის წარმოება-მოხმარების უწყვეტი პროცესის აღრიცხვის სისტემა ვერ იძლეოდა ინვენტარიზაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საანგარიშგებო თარიღამდე სანდოდ გადათვლის შესაძლებლობას. ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მარაგის თანხაში და ფინანსრი შედეგის ანგარიშგებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სს „არქეოპოლისისგან“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მიხედვით სს „არქეოპოლისის“ მიერ მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ამასთან საქმიანობის მიმოხილვის შესახებ კანონით მოთხოვნილი მოსაზრება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის ქვესათაურში - „მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს „არქეოპოლისის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს „არქეოპოლისის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს „არქეოპოლისის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს „არქეოპოლისის“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კანონის მიხედვით სს „არქეოპოლისი“ ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ მოსაზრება კანონით განსაზღვრული საქმიანობის ანგარიშის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვდენილობის თაობაზე.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კანონით განსაზღ-ვრული მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს კონსაუდის სახელით

რევაზ ძაძამია
გარიგების პარტნიორი

18 სექტემბერი 2024 წ.

ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ მოსაზრება კანონით განსაზღვრული საქმიანობის ანგარიშის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვდენილობის თაობაზე.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კანონით განსაზღ-ვრული მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს კონსაუდის სახელით

რევაზ ძაძამია
გარიგების პარტნიორი

Revaz Dzadzamia 01025004983

Digitally signed by Revaz Dzadzamia
Date: 2024.09.18 13:43:30

18 სექტემბერი 2024 წ.

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

		31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	5	**28 021 700**	**16 256 901**
სხვა შემოსავლები	6	**115 294**	**189 849**
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(29 856)	546 278
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(13 480 754)	(10 737 487)
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები		(3 135 175)	(2 479 295)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(680 503)	(734 336)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	7	(5 178 529)	(1 059 396)
საგადასახადო ხარჯი		(91 576)	(77 807)
საკურსო სხვაობის ხარჯი		-	(224)
სხვა ხარჯი	8	(155 220)	(361 396)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		**5 385 381**	**1 543 087**
ფინანსური ხარჯი	9	(607 189)	(868 357)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		4 778 192	674 730
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი (2022 წ.: ადრე აღიარებული 714 002 ლარი)		**4 778 192**	**674 730**
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში		5 531 645	4 856 915
- ადრე გაცხადებული		5 570 917	
- წინა პერიოდების შეცდომების გასწორების გავლენა	4	39 272	
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს		10 309 837	5 531 645

დირექტორი **ნუგზარ ჩვამანია**

მთ. ბუღალტერი **ეკატერინე ჯაჯანიძე**

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

		31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	5	**28 021 700**	**16 256 901**
სხვა შემოსავლები	6	**115 294**	**189 849**
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(29 856)	546 278
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(13 480 754)	(10 737 487)
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები		(3 135 175)	(2 479 295)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(680 503)	(734 336)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	7	(5 178 529)	(1 059 396)
საგადასახადო ხარჯი		(91 576)	(77 807)
საკურსო სხვაობის ხარჯი		-	(224)
სხვა ხარჯი	8	(155 220)	(361 396)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		**5 385 381**	**1 543 087**
ფინანსური ხარჯი	9	(607 189)	(868 357)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		4 778 192	674 730
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი (2022 წ.: ადრე აღიარებული 714 002 ლარი)		**4 778 192**	**674 730**
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში		5 531 645	4 856 915
- ადრე გაცხადებული		5 570 917	
- წინა პერიოდების შეცდომების გასწორების გავლენა	4	39 272	
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს		10 309 837	5 531 645

დირექტორი		ნუგზარ ჩვამანია
მთ. ბუღალტერი		ეკატერინე ჯაჯანიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

		31.12.2023		31.12.2022	
აქტივები					
მიმდინარე აქტივები					
ფულადი სახსრები	10	178 710		820 249	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	3 247 605		1 198 612	
საგადასახადო მოთხოვნები		22 336		-	
მარაგი	12	4 021 490		4 051 346	
გაცემული სესხები	13	196 256		309 370	
სულ მიმდინარე აქტივები			**7 666 397**		**6 379 577**
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	14	6 016 851		6 082 317	
არამატერიალური აქტივები	15	13 642		103 998	
სულ გრძელვადიანი აქტივი			**6 030 493**		**6 186 315**
სულ აქტივები			**13 696 890**		**12 565 892**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	341 789		978 322	
სასესხო ვალდებულებები	17	88 822		1 800 513	
საგადასახადო ვალდებულებები		620 666		433 016	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	70 077		58 746	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებეები			**1 121 354**		**3 270 597**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხი	19	2 149 213		3 647 164	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			**2 149 213**		**3 647 164**
საკუთარი კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	20	116 486		116 486	
გაუნაწილებელი მოგება		10 309 837		**5 531 645**	
სულ საკუთარი კაპიტალი			**10 426 323**		**5 648 131**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			**13 696 890**		**12 565 892**

დირექტორი	ნუგზარ ჩვამანია
მთ. ბუღალტერი	ეკატერინე ჯაჯანიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

		31.12.2023		31.12.2022	
აქტივები					
მიმდინარე აქტივები					
ფულადი სახსრები	10	178 710		820 249	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	3 247 605		1 198 612	
საგადასახადო მოთხოვნები		22 336		-	
მარაგი	12	4 021 490		4 051 346	
გაცემული სესხები	13	196 256		309 370	
სულ მიმდინარე აქტივები			7 666 397		6 379 577
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	14	6 016 851		6 082 317	
არამატერიალური აქტივები	15	13 642		103 998	
სულ გრძელვადიანი აქტივი			6 030 493		6 186 315
სულ აქტივები			13 696 890		12 565 892
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	341 789		978 322	
სასესხო ვალდებულებები	17	88 822		1 800 513	
საგადასახადო ვალდებულებები		620 666		433 016	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	70 077		58 746	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებეები			1 121 354		3 270 597
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხი	19	2 149 213		3 647 164	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			2 149 213		3 647 164
საკუთარი კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	20	116 486		116 486	
გაუნაწილებელი მოგება		10 309 837		5 531 645	
სულ საკუთარი კაპიტალი			10 426 323		5 648 131
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			13 696 890		12 565 892

დირექტორი	ნუგზარ ჩვამანია
მთ. ბუღალტერი	ეკატერინე ჯაჯანიძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

		31.12.2023		31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	30 658 683		17 645 934	
მიღებული სახელმწიფო გრანტი	52 969		148 860	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(20 094 077)		(13 013 619)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(3 079 053)		(2 487 407)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	5 538 522		2 293 768	
გადახდილი გადასახადები	(1 776 370)		(796 168)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**3 762 152**		**1 497 600**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების შეძენა	(748 691)		(379 766)	
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემოსული თანხები	174 825		12 000	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(573 866)**		**(367 766)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმოანობიდან				
სესხის მიღება	6 020 318		2 107 864	
სესხის დაფარვა	(9 479 286)		(2 768 145)	
სესხის პროცენტის დაფარვა	(357 863)		(395 897)	
სესხის გაცემა	(12 837)		(62 450)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(3 829 668)**		**(1 118 628)**
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(157)			(22)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება		**(641 539)**		**11 184**
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის დასაწყისისათვის		**820 249**		**809 065**
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის ბოლოსათვის	10	**178 710**		**820 249**

დირექტორი **ნუგზარ ჩვამანია**

მთ. ბუღალტერი **ეკატერინე ჯაჯანიძე**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

		31.12.2023		31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები		30 658 683		17 645 934
მიღებული სახელმწიფო გრანტი		52 969		148 860
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(20 094 077)		(13 013 619)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული		(3 079 053)		(2 487 407)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		5 538 522		2 293 768
გადახდილი გადასახადები		(1 776 370)		(796 168)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			**3 762 152**	**1 497 600**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების შეძენა		(748 691)		(379 766)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემოსული თანხები		174 825		12 000
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები			**(573 866)**	**(367 766)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმოანობიდან				
სესხის მიღება		6 020 318		2 107 864
სესხის დაფარვა		(9 479 286)		(2 768 145)
სესხის პროცენტის დაფარვა		(357 863)		(395 897)
სესხის გაცემა		(12 837)		(62 450)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები			**(3 829 668)**	**(1 118 628)**
სავალუტო გადაფასების ხარჯი		(157)		(22)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება			**(641 539)**	**11 184**
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის დასაწყისისათვის		**820 249**		**809 065**
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის ბოლოსათვის	10	**178 710**		**820 249**

დირექტორი ნუგზარ ჩვამანია

მთ. ბუღალტერი ეკატერინე ჯაჯანიძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „არქეოპოლისი“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 1996 წლის 11 იანვრიდან სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ N56/5-6 დადგენილებთ. საწარმო რეგისტრირებულია როგორც აგროსამრეწველო ფირმა „სენაკის“ უფლებამემკვიდრე და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 239862038; იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. სენაკი, სოფ. ძველი სენაკი.

საწარმოს მფლობელი (აქციონერი) არის ერთი ფიზიკური პირი, დემურ გადელია (პ/ნ 39001001103) რომელიც ფლობს აქციების 100%-ს.

სს „არქეოპოლისი“ (შემდეგში საწარმო) საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ეწევა საამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოთა შესრულებას. ის მოიპოვებს ბუნებრივ ინერტულ მასალას (ქვიშა-ხრეში) და აწარმოებს საამშენებლო მასალებსა და კონსტრუქციებს, ახორციელებს გზებისა და ხიდების მშენებლობას. საწარმო უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა: შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საწარმო ახორციელებს ამ ნებართვის მიღების შემდეგ. საწარმოს საქმიაანობა არ რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით.

საწარმოს მომავლის შესახებ ხელმძღვანელობამ ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეაფასა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი. ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მაინც მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებ-ის საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საწრმოში ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

3. საღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგები გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებიდან აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის შუალედებში და ბოლოს.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

მომავალში მისაღები მთლიანი თანხების დღევანდელ ღირებულებასა და ანაზღაურების ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება, როგორც საპროცენტო ამონაგები.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარდების დროს ისინი ფასდება გარიგების ფასით.

სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულ ფასს.

ბანკიდან აღებული სესხის ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონ-ტირებული ღირებულებით.

შემდგომი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო მოთხოვნები

გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემული სესხები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები, ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების შემდგომი შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარ-გებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდ-ის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები და ნაგებობები	- 5%
მანქანა დანადგარები -	- 10%
საოფისე აღჭურვილობა	- 10%
ავეჯი და სხვა მოწყობილობები	- 10%
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 %
სხვა ძირითადი საშუალებები	- 5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივის შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებს ამორტიზაცია ერიცხება მოპოვებური ბუნებრივი რესურსის მოცულობის პროპორციულად და აღიარდება მარაგის თვითღირე-ბულების შემადგენელ ნაწილად.

სხვა არამატერიალურ აქტივებს, ამორტიზებადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება 5 პროცენტიანი წლიური განაკვეთი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „საშუალო შეწონილი“ მეთოდი.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალუ-

რი აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდბა მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.13 სახელმწიფო გრანტი

საწარმო იღებს სახელმწიფო გრანტს, რომელიც არ შეიცავს მომავალში საწარმოსაგან გარკვეული პირობების შესრულებას. გრანტი შემოსავალში აღიარდება მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი ხდება.

4. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2022 წლის დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული იყო უზუსტობა. არასწორად იყო დარიცხული ლიცენზიების ამორტიზაციის თანხა. დაშვებული შეცდომების გასწორების მიზნით მოხდა ადრე წარდგენილი მუხლების გადაანგარიშება და არასწორად წარდგენილი მუხლების შესწორება.

შესადარისი პერიოდის შეცდომების გასწორების შედეგი შემდეგია:

2022 წლის შეცდომის ხასიათი	მუხლის დასახელება	2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხა (ლარი)	წინამდებარე ანგარიშგებაში წრდგენილი თანხა (ლარი)
ლიცენზიების ამორტიზაცია დარიცხული იყო 39273 ლარით ნაკლები, რამაც განაპირობა ფინანსური ანგარიშგების ადრე წარდგენილი მუხლების ცვლილება	არამატერიალური აქტივები	143 270	103 997
	გაუნაწილებელი მოგება	5 570 918	5 531 645
	ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	695 064	734 336
	საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	714 002	674 730

5. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	**31.12.2023**	**31.12.2022**
1	შემოსავალი შესრულებული სამუშაოს მიწოდებით	27 749 932	16 125 790
2	შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	271 768	131 111
	ამონაგები მიწოდებიდან	**28 021 700**	**16 256 901**

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

6. სხვა შემოსავლები

(ლარი)

	დასახელება	**31.12.2023**	**31.12.2022**
1	საპროცენტო შემოსავალი	19 756	28 787
2	არასაოპერაციო მოგება	7 501	10 734
3	სახელმწიფო გრანტის შემოსავალი (კრედიტის მიზნობრივი თანადაფინანსება)	52 969	148 859
4	დადებითი საკურსო სხვაობა	6 331	-
5	მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	27 637	-
6	სხვა შემოსავალი	1 100	1 469
	ჯამი:	**115 294**	**189 849**

7. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	სუბკონტრაქტორების ხარჯი	3 545 205	126 858
2	საიჯარო ქირა	218 962	174 592
3	კომუნიკაციის ხარჯები	9 711	10 741
4	დაზღვევა	20 807	9 535
5	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	2 632
6	სატრანსპორტო მომსახურეობის ხარჯი	186 275	30 450
7	სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	344 444	116 582
8	დანადგარების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	49 446	61 726
9	კომპიუტერის ხარჯები	527	432
10	საკანცელარიო ხარჯი	5 144	4 950
11	საკონსულტაციო ხარჯები	28 000	28 000
12	ბანკის მომსახურეობის საკომისიო	10 220	5 506
13	ლაბორატორიული მომსახურეობის ხარჯი	134 394	113 711
14	საჯარო რეესტრის ცნობების ხარჯი	2 237	6 005
15	სამივლინებო ხარჯი	146 425	139 480
16	სატენდერო წინადადების ხარჯები	-	1 107
17	იურიდიული მომსახურეობის ხარჯი	15 000	1 000
18	დასაბეგრი მომსახურეობის ხარჯი	150 073	102 543
19	სხვა მომსახურების ხარჯი	308 640	120 996
20	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3 019	2 550
	ჯამი:	**5 178 529**	**1 059 396**

8. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	ფიზიკური პირთა დახმარებები	108 235	36 378
2	არასაოპერაციო ზარალი	17	1 326
3	ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	61 536	82 219
4	დარიცხული ჯარიმები	2 952	80 622
5	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11 469	160 851
6	საეჭო მოთხოვნების ხარჯი (უკუგატარება)	(28 989)	-
	ჯამი:	**155 220**	**361 396**

9. ფინანსური ხარჯი

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	დამფუძნებლის სესხის საპროცენტო ხარჯი	424 447	466 717
2	ბანკის საგარანტიო მომსახურების ხარჯი	86 840	85 799
3	ბანკის საპროცენტო ხარჯი	95 902	315 841
	ჯამი:	**607 189**	**868 357**

10. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	174 234	820 249
2	ფული ანგარიშვალდებულ პირებთან	4 476	-
	ჯამი:	**178 710**	**820 249**

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ზემოთ აღნიშნული მუხლი მოიცავს მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა მომდევნო წელს იწურება. სავაჭრო მოთხოვნები ფინასურ ანგარიშგებაში ასახულია საეჭვო მოთხოვნების გამოკლებით.

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	სავაჭრო მოთხოვნები	3 537 139	1 509 331
2	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	105 377	107 775
3	საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(407 550)	(436 540)
4	მოთხოვნები პერსონალის მიმართ	12 639	16 286
5	სხვა მოთხოვნები	-	1 760
	ჯამი:	**3 247 605**	**1 198 612**

12. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	ნედლეული და მასალები	1 846 894	1 636 853
2	მზა პროდუქცია	2 174 596	2 627 275
3	დაუმთავრებელი წარმოება	-	212 782
	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	**4 021 490**	**4 051 346**

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებულმა მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 13 510 610 ლარი.

13. გაცემული სესხები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	სესხის ნაშთი	165 929	262 970
2	მისაღები პროცენტი	30 327	46 400
	მოთხოვნების ჯამი	**196 256**	**309 370**
	მ.შ. დაკავშირებული მხარიდან მისაღები	-	140 788

სესხები გაცემულია 2021 წლის იანვარში ერთ იურიდიულ პირზე. სესხი უნდა დაიფაროს 2024 წლის ბოლომდე. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

14. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

დასახელება	მიწა	შენობები	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება									
ნაშთი: 01.01.2023	**42 422**	**621 718**	**224 251**	**2 985 505**	**74 928**	**48 223**	**307 301**	**8 768 872**	**13 073 220**
აქტივების შეძენა	-	-	1 400	70 557	14 461	4 019	14 809	659 796	**765 042**
აქტივების გასვლა	-	-	-	92 158	24 257	144	75 025	205 645	**397 229**
ნაშთი: 31.12.2023	**42 422**	**621 718**	**225 651**	**2 963 905**	**65 132**	**52 098**	**247 085**	**9 223 023**	**13 441 034**
აღიარებული ცვეთა									
ნაშთი: 01.01.2023	-	**321 408**	**106 863**	**1 743 978**	**30 187**	**38 940**	**158 023**	**4 591 504**	**6 990 903**
ცვეთის დარიცხვა	-	27 813	10 154	171 995	5 663	1 655	6 676	366 193	590 149
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	72 307	14 348	91	35 211	34 912	156 869
ნაშთი: 31.12.2023	-	**349 221**	**117 017**	**1 843 666**	**21 502**	**40 504**	**129 488**	**4 922 785**	**7 424 183**
საბალანსო ღირებულება									
01.01.2023	**42 422**	**300 310**	**117 388**	**1 241 527**	**44 741**	**9 283**	**149 278**	**4 177 368**	**6 082 317**
31.12.2023	**42 422**	**272 497**	**108 634**	**1 120 239**	**43 630**	**11 594**	**117 597**	**4 300 238**	**6 016 851**

სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებილი ძირითადი საშუალებები:

საწარმოს საბანკო სესხის საგარანტიოდ იპოთეკით აქვს დატვირთული მის საკუთრებაში არსებული საოფისე ფართი ქ. თბილისში (მისამართი: ცაგარელის ქ. 41, ბინა 2ა) და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 12,3 ჰა, (სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე), რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 132 465 ლარს. ასევე, დაგირავებულია ბალანსზე არსებული სპეციალური ტექნიკა 4 ერთეული საბალანსო ღირებულებით 505 670 ლარი.

15. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	აქტივის დასახელება	ნაშთი 01.01.2023	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
	შეძენის ღირებულება				
1	ლიცენციები	204 263	-	-	204 263
2	საბუღალტრო პრ. „ორისი"	3 160	-	-	3 160
	ჯამი	**207 423**	**-**	**-**	**207 423**
	ამორტიზაცია	**ნაშთი 01.01.2023**	**დარიცხვა**	**ჩამოწერა**	**ნაშთი 31.12.2023**
1	ლიცენციების ამორტიზაცია	100 552	90 305	-	190 857
2	საბუღალტრო პრ. „ორისი"	2 873	51		2 924
	ჯამი	**103 425**	**90 356**	**-**	**193 781**
	საბალანსო ღირებულება	**103 998**			**13 642**

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	სავაჭრო ვალდებულებები	341 789	978 322
	ჯამი:	**341 789**	**978 322**

17. სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	**31.12.2022**	**31.12.2021**
1	ბანკის გრძელვადიანი სესხის მიდინარე ნაწილი	87 448	1 790 871
2	ბანკის სესხის პროცენტი	12	8 865
3	საგარანტიო საპროცენტო ვალდებულებები	1 362	777
	ჯამი:	**88 822**	**1 800 513**

ბანკის სესხი

საწარმოს გააჩნია ბანკის ერთი სესხი, რომლის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 87 448 ლარს და უნდა დაიფაროს 2024 წლის თებერვალში. სესხის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთია წლიური 12%.

საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს საკუთრებაში არსებული ბალანსზე არსებული: ა) საოფისე ფართის და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის იპოთეკით, რომელთა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 132,465 ლარს (139 936 ლარი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის). და ბ) 4 ერთეული სპეციალური ტექნიკის გირაოთი, რომლის საბალანსო

ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 505 670 ლარს (554 858 ლარი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის).

საწარმოს ბანკის წინაშე აღებული აქვს ვალდებულება საბანკო ბრუნვების 100% აწარმოოს კრედიტორი ბანკის მეშვეობით (კონვერსია, გადარიცხვა და სხვა საბანკო ოპერაციები).

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ფარგლებ-ში საწარმო იღებს მიზნობრივ თანადაფინანსებას (სახელმწიფო გრანტი) სესხის პროცენტზე წლიური 11%-ის ოდენობით.

18. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	სახელფასო ვალდებულება	31 471	36 689
2	გადასხდელი საპენსიო შენატანი	38 606	22 057
	ჯამი:	**70 077**	**58 746**

19. გრძელვადიანი სესხი

(ლარი)

	დასახელება	31.12.2023	31.12.2022
1	ბანკის სესხი	-	87 448
2	დამფუძნებლის სესხი	1 311 963	2 980 060
3	დამფუძნებლის სესხის პროცენტი	837 250	579 656
	ჯამი:	**2 149 213**	**3 647 164**

სესხის საბანკო ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით, ხოლო დამფუძნებლის სესხი არაუზრუნველყოფილ სესხს წარმოადგენს. სასესხო და სხვა ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების ინფორმაცია მოცემულია მე-16 შენიშნვაში.

20. სააქციო კაპიტალი

2022 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის სააქციო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 116 486 ლარს, რომელიც შედგება სრულად გამოშვებული და ანაზღაურებული 89 605 ჩვეულებრივი აქციისაგან. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტში განსაზღვრული იყო ერთი აშშ დოლარის ოდენობით.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საწარმოს ურთიერთობა მისი აქციონერის მიერ კონტროლირებულ საწარმოსთან

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის 100%-ის მფლობელია ერთი ფიზიკური პირი, დემური გადელია (პ/ნ 39001001103). საწარმო მისი აქციონერის მიერ კონტროლირებული საწარმოსგან იღებს საიჯარო მომსახურებას და ასევე გაცემული ჰქონდა ამ საწარმოზე სესხი.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამდენიმე სატრანსპორტო საშუალება დაკავშირებული მხარისაგან. იჯარის ხელშეკრულების ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია საიჯარო გადასახდელების ყოველთვიური გადახდა სატრანსპორტო საშუალებების ნამუშევარი დღეების მიხედვით.

ჩვეულებრივი იჯარის პირობებში მიღებული მომსახურების ღირებულება, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში ხარჯად იყო აღიარებული, შეადგენდა 218 962 ლარს (2022 წელს 173 173 ლარი).

2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დაკავშირებული მხარის მიმართ ვალდებულების ნაშთი არ გააჩნია.

სესხთან დაკავშირებული მოთხოვნები

დაკავშირებულ მხარესთან სასესხო ურთიერთობის შედეგი შემდეგია:

(ლარი)

	დასახელება	**31.12.2023**	**31.12.2022**
1	სესხის ნაშთი	-	109 878
2	მისაღები პროცენტის ნაშთი	-	30 911
3	შემოსავლად აღიარებული პროცენტი	4 919	17 796

სესხი დაიფარა 2023 წელს.

ბ) აქციონერისგან მირებული გრძელვადიანი სესხი

(ლარი)

	დასახელება	**31.12.2023**	**31.12.2022**
1	სესხის ნაშთი	1 311 964	2 980 060
2	სესხის პროცენტის ნაშთი	837 250	579 655
3	საანგარიშგებო პერიოდში ხარჯად აღიარებული პროცენტი	424 447	466 717

სესხის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთია წლიური 16%. სესხი უნდა დაიფაროს 2031 წლის იანვარში.

გ) საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპენსაცია

შემდეგ ცხრილში მოტანილია ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების შესახებ.

(ლარი)

	დასახელება	**2023 წელი**	**2022 წელი**
1	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების მთლიანი ოდენობა	734 324	617 091
2	დირექტორის ანაზღაურების მთლიანი ოდენობა	106 505	92622

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სს „არქეოპოლისი“-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 17 სექტემბერს.

ს.ს. „არქეოპოლისი“

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, სენაკი
2023 წელი

შინაარსი

დირექტორის მიმართვა.	
თავი I	საქმიანობის ანგარიში:
	სააქციო საზოგადოების მართვა
	სამეთვალყურეო საბჭო
	საზოგადოების დირექტორი
	მართვის სტრუქტურა
	საქმიანობის მიმოხილვა
თავი II	საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
თავი III	განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
თავი IV	სოციალური და დასაქმების საკითხები.
თავი V	საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
თავი VI	გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
თავი VII	ძირითადი რისკები.

სს „არქეოპოლისი“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

წარმოგიდგენთ სს „არქეოპოლისი“-ს 2023 წლის ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გვევალება ყოველწლიურად.

1980 წელს ერთი პატარა რონოდით, ექსკავატორითა და რამდენიმე თვითმცლელი ავტომანქანით ინჟინერ-მექანიკოსმა დემურ გადელიამ სენაკის რაონის სოფელ ძველ სენაკაში მდინარე ტეხურისპირა, დაჭაობებულ და ეკალ-ბარდით დაფარულ ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა იმ დროისთვის უმსხვილესი საწარმოს მშენებლობას.

თავდაპირველად მას მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანება ერქვა, 1983 წლის დამლევს საწარმო გადაკეთდა საავტომობილო გზების მშენებლობის მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანებად.

მშენებლობები ერთდროულად მიმდინარეობდა მთელ დასავლეთ საქართველოში. სამუშაოს მოცულობათა მკვეთრმა ზრდამ გადააწყვეტინა ბატონ დემურ გადელიას შეექმნა მძლავრი საკუთარი საამშენებლო ბაზა, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში სისრულეში მოიყვანა და 1989 წლიდან აგროსამშენებლო ფირმა „სენაკი“ -ს სახელწოდებით შეუდგა ფართო მასშტაბიანი სამუშაოების შესრულებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ფირმა 1996 წლიდან სააქციო საზოგადოებად (შემდგომში - საზოგადოება ან საწარმო) ჩამოყალიბდა და „არქეოპოლისი“ ეწოდა. დღეს იგი ერთ-ერთი წარმატებული საგზაო სამშენებლო კომპანიაა ჩვენს ქვეყანაში.

საზოგადოებაში მუშაობს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად მოდერნიზებული ასფალტო-ბეტონის ორი ქარხანა, ექვსი ქვის სამტვრევი საამქრო, ახალი გერმანულ-ავსტრიული ფირმის მოძრავი ქვის სამტვრევი დანადგარი, რკინა-ბეტონის ტექნიკურ ნაკეთობათა პოლიგონი, არმატურის, სამშენებლო ბლოკის, სახარატე, ავტოსაზეინკლო, დიდი მოცულობის სასაწყობე-საქვაბე და დამხმარე მეურნეობები. დამონტაჟებულია ლითონის 200 ტონის ტევადობის ბითუმის რეზერუარები. ფუნქციონირებს განახლებული ავტოსატრანს-პორტო პარკი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკის განახლებასა და შევსებას, ბოლო წლებში აქ შეძენილია მძიმე ტვირთამწეობის ავტომანქანა „კამაზები“, „მანები“, „უნაგირა საწევარები“, მისაბმელები, ასფალტის ვიბრაციული დამტკეპნი, იტალიური საგზაო „ფრეზი“, იაპონური და გერმანული წარმოების ექსკავატორები, გრეიდერები და ასფალტო-ბეტონის ნარევის დამგები მექანიზმები.

2009 წლიდან საწარმოში საფუძველი ჩაეყარა მშენებლობაში ახალი ტექნოლოგიის ათვისებას, კერძოდ, გზებზე ცემენტო-ბეტონის საფარის დაგებას, რისთვისაც შეძენილ იქნა ცემენტო-ბეტონის ორი ქარხანა, რვა ერთეული ბეტონრევმზიდი „მიქსერი“, ბეტონის დამგები დანადგარი, დიზელგენერატორი, ვიბრატორები და სხვა.

საწარმოს ქვედანაყოფები, საამქროები, სამშენებლო ობიექტები დაკომპლექტებულია გამოცდილი, პროფესიონალი მუშაკებით, რომელთა რაოდენობა 150 -ზე მეტია.

კომპანიას, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტენდერებში გამარჯვებულს და ძირითად კონტრაქტორს შესრულებული აქვს საავტომობილო გზების, ხიდების სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლესი ტექნოლოგიების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამუშაოთა მოცულობით, ფინანსური ბრუნვითა და სტაბილური შედეგებით „არქეოპოლისი“ ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია. მას სოლიდური თანხები შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში.

საზოგადოება ეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ინვალიდებს, ვეტერანებს, ლტოლვილებს, მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს, ნიჭიერ შემოქმედ ახალგაზრდებს, სპორტსმენებს, გარდაცვლილთა ხელმოკლე ოჯახებს.

შეაქვს გარკვეული წვლილი სასულიერო ცხოვრების აღორძინებაში. სენაკის სასულიერო სკოლასთან საქველმოქმედო წესით აშენდა წმინდა ალექსი ბერი (შუშანიას) სახელობის ტაძარი, აღდგენილ იქნა საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, კეთილმოეწყო მარტვილის საკათედრო ტაძართან და ბალდის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზა, რომელიც მთლიანად მოასფალტებულია. აშენდა ქვის თაღოვანი ხიდი სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლეში, მდინარე ონტოლოზე. გაეწია დახმარება ქალაქის იოანე ნათლიმცემლის, შხეფის მთავარანგელოზის სახელობის, რაიონში და მის ფარგლებს გარეთ ქალაქებსა და სოფლებში მშენებარე ეკლესია-მონასტრებს.

კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, ლამაზი გაზონებით, სკვერებითა და ღამის განათებით გაცისკროვნებული „არქეოპოლისი“ მომხიბვლელი და თვალწარმტაცია სანახავად.

2024 წელსაც საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

მიმაჩნია, რომ სს „არქეოპოლისის“ მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

სს „ არქეოპოლისი“-ს

დირექტორი

ნუგზარ ჩვამანია

კომპანიას, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტენდერებში გამარჯვებულს და ძირითად კონტრაქტორს შესრულებული აქვს საავტომობილო გზების, ხიდების სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლესი ტექნოლოგიების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამუშაოთა მოცულობით, ფინანსური ბრუნვითა და სტაბილური შედეგებით „არქეოპოლისი" ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია. მას სოლიდური თანხები შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში.

საზოგადოება ეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ინვალიდებს, ვეტერანებს, ლტოლვილებს, მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს, ნიჭიერ შემოქმედ ახალგაზრდებს, სპორტსმენებს, გარდაცვლილთა ხელმოკლე ოჯახებს.

შეაქვს გარკვეული წვლილი სასულიერო ცხოვრების აღორძინებაში. სენაკის სასულიერო სკოლასთან საქველმოქმედო წესით აშენდა წმინდა ალექსი ბერი (შუშანიას) სახელობის ტაძარი, აღდგენილ იქნა საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, კეთილმოეწყო მარტვილის საკათედრო ტაძართან და ბალდის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზა, რომელიც მთლიანად მოასფალტებულია. აშენდა ქვის თაღოვანი ხიდი სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლეში, მდინარე ონტოლოზე. გაეწია დახმარება ქალაქის იოანე ნათლიმცემლის, შხეფის მთავარანგელოზის სახელობის, რაიონში და მის ფარგლებს გარეთ ქალაქებსა და სოფლებში მშენებარე ეკლესია-მონასტრებს.

კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, ლამაზი გაზონებით, სკვერებითა და ღამის განათებით გაცისკროვნებული „არქეოპოლისი" მომხიბვლელი და თვალწარმტაცია სანახავად.

2024 წელსაც საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

მიმაჩნია, რომ სს „არქეოპოლისის" მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

სს „ არქეოპოლისი"-ს

დირექტორი

ნუგზარ ჩვამანია

თავი I

საქმიანობის ანგარიში

სააქციო საზოგადოების მართვა

სააქციო საზოგადოების აქციათა 100%-ის მფლობელია ფ/პ დემურ გადელია (პ/ნ 39001001103).

საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებია :

ა) სამეთვალყურეო საბჭო,

ბ) დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას სამეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭოში წევრების არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

საბჭო შედგება 3 წევრისაგან. ის თავის წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომებს და ადგენს დღის წესრიგს.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) აკონტროლოს დირექტორის საქმიანობა;

ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები, ხელშეკრულებები, საოფისე, სასაწყობო თუ სამშენებლო ობიექტები.

გ) შეამოწმოს წლიური ანგარიშები, მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია სს „არქეოპოლისი“ -ს მდგომარეობის შესახებ.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობებისდა პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
წევრი
წევრი
მოადგილე
დირექტორი
მოადგილე
მთ. მექანიკოსი
აღმრიცხველ ოპერატორი
მთავარი ბუღალტერი
მთავარი ინჟინერი
ტექნიკური განყ. უფროსის მ.შ
დაცვის სასმს. უფროსი
მოადგილე
ბუღალტერი
ა/ბეტონის ქარხნის უფროსი/მექანიკოსი
ტექნიკური განყ. ინჟინერი
მექანიკოსი
კადრების სამს. უფროსი
წარმოების მენეჯერი
სამუშაოთა მწარმოებელი
საწყობის უფროსი
გზის ოსტატი
მძღოლები
მექანიზატორები
რკ. ბეტონის ნაკეთობათა პოლიგონი
ქვის სამტვრევი საამქროები
ცბეტონის ქარხანა

<u>საქმიანობის მიმოხილვა</u>

სს ,,არქეოპოლისის“ საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. გზების და ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია.
2. ასფალტის წარმოება.
3. ბეტონის და ბეტონის ნაკეთობების წარმოება
4. ქვიშა-ხრეშის მოპოვება და გადამუშავება.
5. სამშენებლო კონსტრუქციების დამზადება.
6. მანქანა-მექანიზმებით მომსახურება.

2023 წელს საწარმოს მიერ შესრულებული პროექტები:

N	თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების მოქმედების ვადები	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	6
1	• სოფელ მარნის N14 N12 გზის ქუჩების ასფალტობეტონის საფარის მოწყობა; • სოფ. გაუწყინარში N1 ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით; • სოფ. გაუწყინარში ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით; • სოფ. პირველ მაისში კუდაეწერში N4 გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით; • სოფ. ნაესაკოვოსა და კოდორის შემაერთებელი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით; • სოფ. ნაესაკოვოში შუაქალაქის უბნიდან იპოდრომამდე გზის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით; • სოფ. აბაშისპირის ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით; • სოფ. ქოლობანში N5 (პატარა გეზათი) გზის მოწყობა;	აბაშის მუნიციპალიტეტი	23.09.2022-02.05.2024	4 732 420
2	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-6) ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საავტომობილო გზის კმ76-კმ86 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	საქართველოს საავტომობილოგზების დეპარტამენტი	27.12.2022 - 05.04.2024	12 687 614
3	1. ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საოდიშარიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 2. ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, საარჩაიო-ზედა სორტის დამაკავშირებელი გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით	სენაკის მუნიციპალიტეტი	26.12.2022 - 30.03.2023	726 461
4	მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დ. ადეიშვილის ქუჩიდან ხვედელიძის ქუჩის მიმართულებით, მიწაბოგირის N7 ქუჩაზე, სოფ. ჭაგანში მდ. ჭურთავას მარცხენა სანაპიროს ჩიხში, ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში წმ. გიორგის ტაძრის წინ ქუჩაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იანეთის N24 ქუჩაზე, სოფ. დიდი ჯიხაიშში N8 ქუჩის გაგრძელება; N10 და N11 ქუჩებზე, სოფ. დიდი ჯიხაიშში N12 ქუჩაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ ჯიხაიშში N16 ქუჩაზე, მელაურის თემში სოფ. მიწაბოგირის N9 ქუჩის I ჩიხში, ქ. სამტრედიაში ფარნავაზის ქუჩის მისასვლელი (სოხუმის ქუჩიდან) საავტომობილო გზაზე, ბარამიას ქუჩაზე და მანჯგალაძის მე-3 ჩიხში ასფალტო-ბეტონის დაგების სამუშაოების შესყიდვა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	06.02.2023 - 31.07.2023	1 433 841

5	1. ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან, ახალსოფლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია. 2. მენჯის ადმ.ერთეულის სოფ.საგაბესკირიოს გზის ბეტონის საფარის მოწყობა. 3. სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	სენაკის მუნიციპალიტეტი	01.03.2023 - 30.03.2024	2 537 855
6	1. ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდიდან სტადიონამდე გზის მოწყობა ცემენტო-ბეტონის საფარით 2. ჭყონდიდელის ქუჩიდან ყოფილ გაზის კანტორამდე ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია 3. ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ.მეორე ნოსირის საკირცხალიო-საკერძაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია. 4. ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საკილასონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია	სენაკის მუნიციპალიტეტი	01.03.2023 - 30.03.2024	2 713 827
7	1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ კუთხე ნოჯიხევში შიდა სასოფლო გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობა; 2. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში შიდა სასოფლო გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობა; 3. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ნოჩხონში გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობა; 4. ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთისა და ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობა; 5. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საქირიოში გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობა	ხობის მუნიციპალიტეტი	14.03.2023 - 30.04.2025	7 295 618
8	გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში მირიან ხარეზავას სახლიდან ნახურცილაო-სენაკის ცენტრალურ გზამდე საავტომობილო გზის ა.ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები	მარტვილის მუნიციპალიტეტი	28.03.2023 - 30.05.2024	889 655
9	დიდიჭყონის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრიდან თამაზი ბასილაიას სახლამდე და ბადრი თოდუას სახიდან ირა ბოროდოვას სახლამდე საავტომობილო გზის ა.ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები	მარტვილის მუნიციპალიტეტი	24.03.2023 - 30.06.2025	1 718 897
10	1. ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. 2. ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. 3. მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბარკალაიოში გზის რეაბილიტაცია. 4. ალ. არჩაიას ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია. 5. შონიას ქუჩის რეაბილიტაცია.	სენაკის მუნიციპალიტეტი	22.06.2023 - 31.03.2024	505 702
11	1. ზანა-ეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 2. გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზის რეაბილიტაცია 3. ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეკირცხალიეს უბანში გზის რეაბილიტაცია და მილხიდების მოწყობა 4. ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში გახომელას უბანში გზის რეაბილიტაცია	სენაკის მუნიციპალიტეტი	30.10.2023 - 25.11.2025	2 572 198
12	1. მენჯის ადმინისტრაციული ერთეულისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი (რეკა-ბათარია) გზის მოასფალტება ჩიხებით 2. ნოსირის ადმინიტრაციულ ერთეულში,საბესელიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 3. ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლესაჯაიეს უბანში გზის მოწყობა 4. უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა 5. ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა	სენაკის მუნიციპალიტეტი	30.10.2023 - 25.11.2025	2 600 446

განხორციელებული სამუშაოები მოპოვებულია სახელმწიფო ტენდერების გზით.

ზემოთ მოყვანილი პროექტების შესრულებისას სამუშაოებს აკონტროლებს ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები. მათი წარმომადგენლები ესწრებიან ყველა სამუშაო პროცესს, ასურათებენ და აოქმებენ ყველა ფარულ სამუშაოს. ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარედგინება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა, რომლის სისწორეს ადასტურებენ ზედამხედველები. მთლიანად ობიექტი ბარდება საზედამხედველო ორგანოს ექსპერტიზის დასკვნით.

თავი II.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

<u>საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:</u>

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;
- არამატერიალური აქტივების - ბუნებრივი რესურსების ლიცენზიების ეფექტურად გამოყენება.

<u>განვითარების რესურსები:</u>

- საკმარისი ტექნიკა გვაქვს გზებზე და ხიდებზე სამუშად.
- გვაქვს ორი ქვიშა-ხრეშის კარიერი საკმაო რაოდენობის რესურსით.
- დამუშავებული გვაქვს სხვადასხვა ფრაქციის ღორღი და გარეცხილი ქვიშა.
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.
- ბეტონის წარმოებაში ვიყენებთ ინოვაციურ დანამატებს, რაც ხელს უწყობს სწრაფ შრობას.
- სამუშაოებისთვის საჭირო ყველა ნაკეთობას ვამზადებთ ბაზაზე

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ახორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

ბეტონის ქარხანა-მდგომარეობა ახალი. მუშაობს სრულად ავტომატურ რეჟიმში. ზუსტად იცავს რეცეპტით მიცემულ ნორმებს, რაც გარანტიაა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების.

ქვის სამსხვრევი მექანიზმი - მუშაობა შეუძლია ნებისმიერ ადგილზე, კარიერებში და ამზადებს სხვადასხვა ფრაქციის ღორღს.

ბეტონის დამგები მანქანა სხვადასხავა ზომის და ფორმის ყალიბებით.

ასფალტის დასაგები ახალი მექანიზმები: გრუნტის სატკეპნი, ვიბრაციული და პნევმატური სატკეპნები, ასფალტოდამგები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ასფალტის დაგება დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია გადაიარაღების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კერძოდ:

ასფალტო/ბეტონის არსებულ ქარხნებს, გამომშვები ქარხნის მეშვეობით სრულად შეეცვალა მართვის სისტემა.

გაახლდა ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი სისტემა, შეძენილ იქნა გერმანული წარმოების მოძრავი სამსხვრევი დანადგარი, გარემონტდა ძველები, რის შედეგადაც რამდენჯერმე გაიზარდა ქვიშა-ღორღის წარმოება.

გაახლდა ავტოპარკი.

თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელო-ვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

სს „არქეოპოლისი“ აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16–ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. სს “არქეოპოლისი“–ს მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ახორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

სს „არქეოპოლისი“ ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

სს „არქეოპოლისის“ მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგაებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგაების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

სს „არქეოპოლის“–ში დასაქმებული თანამშრომლების ასაკობრივი სტრუქტურის დასადგენად გამოვყავით ხუთი ასაკობრივი ჯგუფი 1) 30 წლამდე , 2) 30–დან 45 წლამდე, 3) 45–დან 60 წლამდე, 4) 60–დან 70 წლამდე და 5) 70-ის ზევითთანამშრომლები.



<u>ადამინის უფლებების დაცვა</u>

სს "არქეოპოლისი" იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.

სს "არქეოპოლისი" მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნემისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1. <u>შემოსავლების დინამიკა 2019 წლიდან 2023 წლის ჩათვლით</u>

2019 წელი	12 140 263
2020 წელი	15 074 533
2021 წელი	11 705 219
2022 წელი	16 446 750
2023 წელი	28 136 994



2. <u>წარმოება სახეობების მიხედვით 2023 წელს:</u>

დასახელება	ერთეული	რ-ბა
წვრილმარცვლოვანიას/ბეტონის ნარევი	ტ	36 526
მსხვილმარცვლოვანიას/ბეტონის ნარევი	ტ	32 973
ქვიშა	კუბ.მ	24 791
ღორღი	კუბ.მ	33 630
ღორღო 0-40	კუბ.მ	41 188
ბეტონი	კუბ.მ	10 594

ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2023 წელს სს „არქეოპოლისის“ მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

N	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია	კვტ.სთ	1 667 734	399 687
2	ბუნებრივი აირი	კუბ.მ	994 997	173 194
3	დიზელის საწვავი	ლიტრი	777 730	1 899 427
4	საავტომობილო ბენზინი	ლიტრი	55 510	116 823
5	საგზაო ბიტუმი	ტონა	3 662	4 265 203

თავიVI
გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოს დაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

2023 წელსაც სს „არქეოპოლისი“ თანამშრომლობს შპს „ნასეტო გრუპთან“-თან, რომლის საფუძველზეც ტარდება ყოველკვარტალურად შემდეგი სამუშაოები. კერძოდ:

1. ასფალტის ორივე ქარხნის მილში მავნე აირების კონცენტრაციის ინსტრუმენტალუტი გაზომვა.
2. ასფალტის ქარხნის აირმტვირთდამჭერ მოწყობილობის ეფექტურობის დადგენა
3. ბითუმის საცავებზე ჯამური ნახშირწყალბადების გაფრქვევის კონცენტრაციის ინსტრუმენტა-ლური გაზომვა.

4. ახლო მდებარე მოსახლეობასთან ორ წერტილში ატმოსფერული ფაერში მტვრის, აზოტის დიოქსიდის, ნახშირბადის მონოოქსიდის და ჯამური ნახშორწყალბადების კონცენტრაციების ინსტრუმენტალური გაზომვა.
5. ჩამდინარე წყლის მონიტორინგი შემდეგ პარამეტრებზე: შეწონილი ნაწილაკები, ჯამური ნახშირწყალბადები და Ph.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად,რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში.გარემოს დაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება,რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის სპეციალისტი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

თავიVII

ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.
საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშენებლო რისკების დაზღვევას:
დაზღვევული ობიექტია:

1. აანაზღაუროს თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯამრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიადგა ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.
2. შტორმის, ციკლონის, წყალდიდობის, მეწყერის, წყლის დონის ამაღლებით და სხვა ბუნებრი მოვლენებით გამოწვეული ზარალი.
3. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯამრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი. სხვადასხვა მარაგების და ფასეულბების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვისთვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:

- სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (ყოველთვიური, კვარტალური) ინვენტარიზაცია.
- ავტომანქანის საწვავის ავზებში დაყენებულია სპეციალური ჩიპები, რითაც კონტროლდება საწვავის წვის და ავტომანქანის მოძრაობა.
- საქმიანი ეზოში დაყენებული 21 ვიდეოკამერა, რომლითაც კონტროლდება სრულად ტერიტორია.
- საქმიანი ეზოში აკრძალულია საწარმოს ავტომანქანის გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების შესვლა.
- ქვიშა-ღორღი, ბეტონი, ასფალტო/ბეტონის გასვლისას იწონება და ფიქსირდება ვიდეოკამერით.
- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად უდარდება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს თურქეთიდან რამდენიმე დღეში ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი ან იქ ვახდენთ ნაწილის აღდგენას.
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

  რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხიმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

  ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

  გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

  ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2024 წლის 17 სექტემბერს.